ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
...ისი, რუსთაველის პრ. სპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ...ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
...ართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
**სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.**

**ხელის მოწერა:**
გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

...წადი მექვსე. | შაბათი, ენკენისთვის 18. 1920 წ. № 102 | ფასი 10 მანეთი


...რას ენკენისთვის 19-ს — სახაფხულო **ქართული კლუბის** დარბაზი — დილის 12 საათზე

ევროპიდან ახლად დაბრუნებული — ბ-ნი

## გ. ზ. გვაზავა

დამფუძნებელი კრების წევრი

## წაიკითხავს ლექციას

### „ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა და საქართველო"

...ნაარსი: ა) ვერსალის ხელშეკრულება.
ბ) ერთა ლიგა, ეროვნული იდეა.
გ) ბოლშევიკური მოძრაობა და დასავლეთი ევროპა,
დ) პოლონეთის საკითხი და ამერიკის ნოტა.
ე) საქართველოს საკითხი და ეკონომიური პოლიტიკა.
ვ) დასკვნა.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში

ეროვ. დემოკრატ. სტუდენტთა და ახალგაზრდათა კომიტეტი.

---

...მწუხარებაში მყოფნი მშობლები დეკანოზი გიორგი და ნატალია ...ანდრიას ასული, ძმები დავით, შალვა და გრიგოლ, დები მინადორა სმირნოვისა და მარია იანქოშვილისა, და რძლები: სოფიო იო...სების ასული და ელენე კონსტანტინეს ასული, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

## ალექსანდრე გიორგის-ძე
## მარინაშვილი

...გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო, კვირას 19 ...სექტემბერს დილ. 10 საათ. დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება ...წირვა, ხოლო მიცვალებულის საფლავზე იმავ ტაძრის გალავანში პანაშვიდი 12 საათზე. 3135 1—1

---

## ...როვნულ-დემოკრატიული
### ✕✕ პარტიის მთავარი კომიტეტი ✕✕

...თავსებულია კვლავ მველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.
...მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—11 და საღამოს 7—9 საათამდე.

---

## ...ართული დრამის დირექცია

იწვევს თანამშრომლებს

## პალ-ვაჟების

სამსახური ჯამაგირიანია.

...მოცდა სამშაბათს **21** ენკენისთვეს, დილის **10** საათზე, ...ართული დრამის თეატრის სცენაზე (ყოფილი არტისტ. სა...ზოგადოების თეატრი) პირობების გაგება იქვე, ყოველდღე, ...ის **2**-ის ნახ. საათამდე, სამხატვრო ნაწილის გამგე...დირექტორთან. 3—17—2

---

## ქართული სამუსიკო სკოლა
### ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა.

მისაღები გამოცდები ფორტეპიანოს კლასში დანიშნულია *18* და *20* სექტ., *11—2* ს., *5—7* საათ.; სიმღერის კლ. *19* და **21**, **1***1—2* ს.; სიმებიან დასაკრავებზე 22, *11—2* ს., 5—7 ს.

ფორტეპიანოს მასწავლებელნი: აბელაშვილი-ყარანგოზიშვილისა ე. დ. თავ. ხელ.; ანდრიანოვიჩ-მანსვეტაშვილისა მ. გ.; ავალიანი მ. მ.; ბერგ-პივოვაროვისა ო. მ.; გაბაშვილი მ. ზ.; გოლდმან დ. დ. თავ. ხელ.; ზეილიგერ ა. ვ. თავ. ხელ.; კალაშნიკოვა ნ. ვ.; კარაკაშ ჰ. ს. თავ. ხელ.; ქიქოძე მ. ბ. თავ. ხელ.; მირიმანოვა მ. ი. თავ. ხელ.; პოლტორაცკი-მადატოვისა ე. ი.; ხოსროევა რ. ე. თავ. ხელ.; სავალდებულო ფ-პ. კლ. ავალიანი მ. მ.; კალაშნიკოვა ტ. მ.; ჩუბინაშვილისა ნ. გ.; სიმღერის კლ.: ჯაყელი ა. გ. პროფ.; ზელიონაია ა. ა.; კირილოვისა მ. ი.; პოლიაევ ფ. ნ.; რიადანოვ ე. კ. პროფ.; შტრეიხერ-ნემიროვსკისა მ. დ.; შულგინა ო. ა.; ვიოლინოს კლ.: ეარაშვილი ა. ნ.; მეტელნიკოვა ვ. ა. თავ. ხელ.; ფიშბერგ ი. ი. თავ. ხელ.; ვიოლონჩელის კლ.: აბაშიძე ი. ს. თავ. ხელ.; თეორიის კლ.: პროფ. არაყიშვილი დ. ი. (რუსული განყ.) აბაშიძე ი. ს. (ქართული განყ.) არფის კლ.: სიჩუგოვა ლ. პ.

### სწავლა იწყება 24 სექტემბერს.

31. 1—1.

---

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები
### თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისთვის. (ტფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული ონყოფილება. 3101. 15—4

---

ბ-ნ განათლების მინისტრის თანხმობით და მოწონებით საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეია მხატვრულ-მეცნიერულ მიზნით აწყობს

## ძველი მხატვრობის
## სურათების გამოფენას

ამიტომ გალერეის ადმინისტრაცია სთხოვს უმორჩილესად ყველას, (როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში) ვისაც კი რაიმე სურათი აქვს ძველი ქართული, სპარსული ან ევროპიული მხატვრობისა, აგრეთვე მინიატიურები და გრავიურები, კეთილ ინებონ და წარმოადგინონ გამოფენისათვის ეროვნულ სამხატვრო გალერეის შენობაში რუსთაველის პრ. № **13**, ტელეფ. **5—96**.

სურათები მიიღება *17*—**26** სექტემბრამდის დილის **10—2** საათ. და საღამოს **5—8** საათამდის.

გალერეია გარანტიას იძლევა სურათების დაცვის და ხელშეუხლებლობისათვის.

თუ რომელიმე სურათი, ამორჩეული, მოწონებული და შეფასებული იქნება სპეციალურ მხატვრულ კომისიის მიერ ეროვნულ გალერეიასათვის, შეძენილ იქნება გალერეის მიერ, მხოლოდ პატრონთან შეთანხმებით.

3132. 1—1. **გალერეის ადმინისტრაცია.**

---

## სახელმწიფოს უნივერსიტეტის

მედიკურ ფაკულტეტის მეოთხე კურსზე გადამავალ სტუდენტთა საყურადღებოთ, კურსის გამგეობა აცხადებს რომ კვირას *19* ენკენისთვეს დილის **11** საათზე უნივერსიტეტის მთავარ შენობაში დანიშნულია აღნიშნულ კურსის კრება.

---

## მოითხოვეთ ყველგან

ბუნებით დაჯილდოებული-საუკეთესო ხარისხის

# კ ო ნ ი ა კ ი

### გაწმენდილი-პურის არაყი და ტკბილი სასმელები

## დ. ი. კალანდაძისა

შეიძლება მიიღოთ ბითუმად და წვრილად თვით ქარხანაში ვაგზლის ქ. № 5

---

## ორ ევროპის შუა.

რუსული ანდაზა ამბობს: „ნუ ჩააფურთხებ ჭაში—წყალის დალევა დაგჭირდება". ეს თქმულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავიწყდებოდეთ ჩვენს სოციალ-დემოკრატებს მით უმეტეს, როდესაც ისინი საქართველოს სახელით მოქმედებენ.

ბედმა ეს ადამიანები სახელმწიფოს მმართველებათ მოგვივლინა და მაშასადამე, ფუნქციები მათი უნდა დაიყოფოდეს იმისდა მიხედვით, თუ რას ემსახურებიან განსაზღვრულ მომენტში: სახელმწიფოს თუ პარტიას.

ხშირად, ძლიერ ხშირად მენშევიკებს ავიწყდებათ თვისი ორმაგი „დანიშნულება", ხოლო იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფოებრივობა მუდამ მსხვერპლად ეწირება პარტიობას, სახელმწიფო მოღვაწეს ადვილად სცვლის პარტიული აგიტატორი!

# დღეს.

**ბოლშევიკები უმთავრეს საფრთხეს ვრანგელის ფრონტიდან მოელიან.**

**ამერიკაში ქალებს აქტიურ საარჩევნო უფლებას არ აძლევენ.**

**ეგ. გეგეჭკორთან საუბარში იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სფორციამ განაცხადა, რომ მან თავის ნოტაში შენიშვნა მისცა ამერიკის მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის არ ცნობის გამო.**

**თბილისში ჩამოვიდა ბრიტანეთის უ. უმაღლესი კომისარი ლიუკი.**

## წ ე რ ი ლ ე ბ ი.

მეთაური: ორ ევროპის შუა.
ტ. მარგველაშვილი: პროფესიული კავშირები.
გრ. რობაქიძე: პასუხად.
ალ. ქეცბაია: სამურზაყანოს კონფერენცია.

შეიძლება ეს გარემოება იმასაც მიეწეროს, რომ ქართველი მენშევიკები ამ ჟამად ჰქმნიან ისეთს საქმეს, რომელიც მათ არც კი დაჰსიზმრებიათ ოდესმე, ან იქნებ ფაქტი ორმაგობისა იმითაც აიხსნება, რომ თავისუფლება ქართველი ერის სოციალ-დემოკრატების აზრით გამოწვეულია უკუღმართად დატრიალებულ ისტორიულ პირობებისა, რომელთა წინააღმდეგ ქართველი სოსოციალდემოკრატები წინადაც მედგრად იბრძოდნენ და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხებოდა მთლიან რუსეთის ,,დემოკრატიული ფრონტის‘‘ დაშლას ბოლშევიკურ გადატრიალების შემდგომ. განგებამ მათ მისცა მოსავლელად სახელმწიფო ერთეული, მაგრამ მთელი განვლილი მუშაობა და შეთვისებული ტრადიცია მიმართული იყო იმ მოვლენის წინააღმდეგ, ამიტომ ვამჩნევთ იმ კოლლიზიას, რომელიც გონებას უმღვრევს მენშევიკების მოღვაწეთ...

აიღეთ თუნდაც ევროპის სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლა ჩვენს სამშობლოში და ის შეხვედრა, რომელიც ჩვენმა მმართველმა პარტიამ მოუწყო მას: სახელმწიფო მოღვაწეების ნაცვლად ჩვენს თვალწინ დგანან გაშიშვლებული აგიტატორები სოციალ-დემოკრატიული პარტიისა! მათ დაძველებულ არსენალიდან კვლავ გადმოიტანეს კომმარის მომგვრელი იაფ ფასიანი ფრაზეოლოგია! ძველი ლოზუნგები და მყვირალა წარწერები! ოხვრა ,,დიდი რუსეთის‘‘ განრღვევისათვის და ქმუნვა ,,სამწუხარო ისტორიულ მოვლენის გამო‘‘! და ყველა ამას თქვენ დაუმატეთ ისიც, რომ მენშევიკები დღეს უმადურად ჰგმობენ იმ სტუმრებს, რომელნიც სხვა და სხვა დანიშნულებით წინა თვეებში იგზავნებოდნენ იმავ ევროპიდან! ,,ერთობის‘‘ ფურცლებზე ,,უნივერსალური‘‘ განი აი რასა სჩმახავს: ,,ბევრი უცხო სტუმარი გვინახავს ჩვენში, მაგრამ ის სულ სხვა იყო. **იხინი ჩვენ არ გვაინტერესებდნენ, პირიქით ჩვენ ვაინტერესებდით მათ**‘‘. (კურსივი ჩვენია). ეს რომ მართალი არ არის, ალბად, თვით ,,განიც‘‘ ჰგრძნობს, მაგრამ დღეს აგიტატორი განი კონფლიქტშია იმ განთან, რომელსაც ,,ერთობაში‘‘ ბევრი უწერია ,,იმპერიალისტურ‘‘ ევროპის წარმომადგენლების საქართველოში ყოფნის სარგებლობის შესახებ.

სოციალისტური დელეგაციის ხილვამ ისე აურია დავთარი მენშევიკებს, რომ საქართველო მათ ნახევარი ფეხით უკვე მიაჩნიათ ,,სოციალიზმის სამოთხეში‘‘ შესულად. ჩვენი სოციალ დემოკრატების სიამაყე მალე მგონი იქამდისაც მივა, რომ ბაქოს ყრილობისებურ სამღვთო ომს გამოუცხადებენ ,,კაპიტალისტურ ევროპას‘‘.

უწინ ჩვენთან მოდიოდნენ იმპერიალისტები—ასე ამბობენ სოციალ-დემოკრატები და ავიწყდებათ, რომ მათი ამხანაგი მინისტრი ერთ ასეთს ,,იმპერიალისტის‘‘ შესახებ საჯაროდ აცხადებდა, რომ საქართველოს განთავისუფლების პროცესსის დაჩქარება ,,მის ოცდაათი წლის დაუღალავ მუშაობას მიეწერება‘‘ ო. და განა ამის მეტი სხვა არაფერი მოაგონდებათ ,,გულმავიწყ‘‘ მენშევიკებს!?

ამგვარი საქციელით ჩვენი სოციალ-დემოკრატები ინტერნაციონალის თვალში შეიძლება ბევრსაც მოიგებენ, მაგრამ პრობლემატიური ძალის გარდა სახეში მისალებია ძალა რეალურიც— დღეს მომქმედი, ამ ჟამადეე განმანაწილებელი ,,ქვეყნიური სიკეთისა‘‘. ასეთ სიტყვებს დაუზოგველად აფრქვევენ მენშევიკები სწორედ მაშინ, როდესაც მათი მინისტრი ევროპის ,,იმპერიალისტ მინისტრებს‘‘ აუდიენციას გამოსთხოვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად ცნობისათვის.

ცოტა გონიერება მენშევიკებსაც მოეთხოვება.

## სიძვირე და ბრძოლა.

ადგილობრივ ნაწარმოებთა გაძვირებასთან ერთად, დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ თანდათან ქვეითდება თვით ღირსება იმ საქონლისა, რომელსაც ჩვენვე ვამზადებთ აქ და რომელიც ღირსებით წინად მყიდველებს საუკეთესოდ აკმაყოფილებდა. მაგ. ავიღოთ ჩვენი წუღები და საზ. ფეხსაცმელები, ფლოსტები, წაღები. ეს დარგი წარმოებისა მშვენივრად აკმაყოფილებდა წინად მთელს ჩვენს სოფელს და ქალაქს დიდ ნაწილსაც. საქონელი დამზადებული იყო სუფთად მჭიდრო ნამუშავარი და გულდაგულოდ გაკეთებული. ეხლა ამ ხელობის ნაწარმოები დაუჯერებელ სურათს წარმოადგენს: ნახევრად შეკერილი ნახევრად შეწებილი, უსუფთაოდ და უგულოდ დამზადებულია. იქნებ მიზეზი უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის კონკურენცია იყოს და ეს ხელობა ჩაიკლას მაშინურ წარმოების საზღვარ-გარეთ თუ შინ, რესპუბლიკაში დამზადებულს? იქნებ საჭირო ნედლი მასალა წინად უცხოეთიდან მოგვდიოდა და ეხლა მისი შემოზიდვა შეწყვეტილია? ან შესაძლოა ტეხნიკურად დახელოვნებული მუშები გვყავდენ წინად და ეხლა ხელფასის სიათის გამო გაგვექცენ. არც პირველია არც მეორე და არც მესამე. ნედლი მასალა ჩვენ აქ, შინა გვაქვს: საკერავი ძაფი ირთვება ჩვენი ბამბისაგან თბილისის ქარხანაში (ბაქოშიც იყო), ტყავეულობაც უმეტეს ნაწილად ჩვენშივე მზადდება, სწორეც საწაღეც და სხ. თბილისისა, ფოთისა და ბათუმის ქარხანაში. (ქუთაისშიც). არც ჩვენში არ გაჩენილა ახალი მაშინური და ფაბრიკული მასიური წარმოება ამ დარგში და არც უცხო საქონელია ჩვენს ბაზარზე ისე ბლომად და იაფად, რომ ჩვენი ადგილობრივი წარმოება ჩაეკლა. ამისათვის ყველასთვის საჭიროა რომ მაშინური საქარხნო წარმოებას ფასები დაეწია, თითქმის გაენახევრებია თავისი მასიური წარმოებით. ეს კი არა უბრალო ქალამანიც კი სანატრელად გაუხდა ჩვენს გლეხობას. არც ტეხნიკურად დახელოვნებული მუშები გვაკლია, მაგრამ მათი ხელფასი კი წარმოებას ფრიად, მძიმედ აწევს. მიბრძანდით ბ-ნო ქუთაისის მეწაღეების რიგში და იკითხეთ, რას სჩივის მწარმოებელი, როცა საქონელს დაუწუნებთ ღირსებით. უპირველესად ყოვლისა მიზეზათ ასახელებენ: მუშახელი ძვირია, და რვა საათის განმავლობაში ვერაფერს ასწრებს და ამიტომ ვამჯობინებთ „ნახელავს“ დავაკლოთ და მეტი გავაკეთოთ. ეს გარემოება ორმაგად აძვირებს ხომ საქონელს, რომლის ფასი ისედაც ცისკენ მიისწრაფის და საქონლის გაუარესებით კიდევ უფრო მძიმე ხდება. ამ გვარივეა სხვა დარგების ვითარებაც და არა მარტო ჩვენში; მთელს პლანეტაზე არა ნორმალური პირობებია ნაწარმოებაში ამ ახალ პირობებს ანგარიში გაუწიეს ყველა ქვეყნის მწარმოებლებმა. მუშათა კონფერენციებმა, ამერიკაში ცხრა საათის, ზოგან ათი საათის სამუშაო დღე მიიღეს; ინგლისში მუშები უარს აცხადებენ ხელფასის მომატებაზე და ნაწარმოების გასაიაფებლად ბაზარზე არავითარ საშუალებას არ ჰზოგავენ. გერმანიაში, რომელიც სოციალისტობით საქართველოს არ ჩამოუვარდება, მუშები 10—12 საათს მუშაობენ. კომუნისტური რუსეთიც კი მოგრიხა და მოსდრიკა შერეული მეურნეობის მოთხოვნილებამ. იქ მუშებს ამუშავებენ 14 საათსაც კი მაშასადამე თავიანთ დემოკრატიულ პროგრამულ მოთხოვნილებაზე თვით დაინტერესებული კლასები ამბობენ უარს, დროის და გარემოების ზედგავლენით; ჩვენში პრინციპიულად 8 საათის სამუშაო დღის მიმხრეა ყველა მომქმედი ჯგუფი და ჩვენი მართებლობაც, მაგრამ დროა ჩვენც შევიგნოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკის ახალი პირობები ჩვენშიაც თავის მსხვერპლს მოითხოვს და რომ ხელფასის ისეთი სტიქიური ზრდა და აწევა თვიდან-თვემდე, როგორც ეს ჩვენში ხდება, სახალხო მეურნეობისათვის და ჩვენი ვალიუტისათვის ვერაფერი დახმარებაა. განა მიღებული რვა საათის განმავლობაში მუშების შრომა ისეთივე ინტენსიურია, როგორც წინად იყო, თუნდაც ომამდე? ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, რომ მისი ორი მესამედი მაინც იყოს! ინტენსივობამ ყველგან იკლო, მთელს ევროპაში: ომითა და კატასტროფებით მოღლილი ნერვები, რასაკვირველია, ნაკლებს მუშაობს, ნაკლები ნაყოფიერებისაა. მაგრამ ევროპის მუშებში უკვე დაიბადა შეგნება, რომ სახელმწიფოს მეურნეობა გაჩანაგდება თუ არსებული არანორმალური პირობები განგრძელდება. შემდეგი ამ შეგნებისა უკვე ავღნიშნეთ. ჩვენში კი ამაზე არავინ ჰფიქრობს. უთვალავ პროფესიულ კრებაზე გამოტანილ რეზოლიუციებში არც ერთხელ არ არის ისეთი, რომელიც სწორედ აფასებდეს ხელფასისა და შრომის დროის ერთის მხრივ და სიძვირის მიზეზობრივ კავშირს. ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მოგვაჩნია, რომ მოხდეს თათბირი ამ და სხვა დარგების მუშათა წარმომადგენლებისა და მწარმოებლების; რომ ამ თათბირის განსაკუთრებული საკითხი იქნეს ხელფასის ვითარება ჩვენ საწარმოო სხ. და სხ. დარგებში: 1) ხელფასის ზრდის შეჩერების პირობები, 2) შრომის გაინტენსივობა და 3) სამუშაო დროს სეზონებათ განსაზღვრა. ჩვენ ამ საკითხებს დიდი ანგარიში უნდა გაუწიოთ თორემ ჩვენს წარმოებას მომავალში საშინელ განსაცდელს დაუმზადებთ: მთელი ჭიათურა შეჩერებულია; დაიცალოს დამზადებული შავი ქვა და ვნახოთ შემდეგ რა პირობებში ჩავარდება მწარმოებელი, რამდენს მოასწრობს ,,ჩემი‘‘ საზღვარგარეთ გაზიდვას. ჯერ ეხლა პორტისა და რკინის გზის მტვირთავებს ვერ აუვიდა მწარმოებელი და შემდეგ რომ კიდევ ჭიათურის მაღაროს მუშები მოემატება! თუ ინტენსივობა, ხელფასი და დრო სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით არ განისაზღვრა და ამ მხრივ თავიდანვე ენერგიული ზომები არ მიიღეს, მთელი ჩვენი ექსპორტის მინიმუმიც დიდი საკითხის ქვეშ დაისმება და ვალიუტის კითხვაც თავის უკანასკნელ წერტილს მიებჯინება. ტყიბულის მაღაროების დამუშავების ხელფასის ზრდამ გააძვირა, სხვათა შორის, ჩვენი მიმოსვლის საშუალება. სოფლად მუშის ხელფასი 500 მან. აღწევს. თუ თამბაქოსა, ბამბისა, ჩაისა და ვენახისათვის დავჭირდათ, კიდევ უფრო ძვირი იქნება? მაშინ ექსპორტის მეტი როგორი იქნება თამბაქო, რომლის მოსავალი საუკეთესო შემთხვევაში გამეათეთდა, როგორ გინდათ გატანოთ უცხოეთში და რამდენ სარგებელს ნახავს ხაზინა ვალიუტის გასაუმჯობესებლად? აქამომდე მთავრობას ,,მაგრათ ეკავა ხელში სადავეები‘‘ ,,სპეკულიანტთა‘‘ და ,,ბურჟუათა‘‘ ,,ასალაგმავათ.‘‘ შედეგი იყო, რომ სიძვირის პროგრესიული მსვლელობა არც ერთი წუთით არ შენელებულა. უბრალო ფორმა გულწრფელობისა და სამართლიანობის მოითხოვს თანაბარ მიზეზებს ერთი და იმავე მოვლენისას თანაბარი ანგარიში გაეწიოს. ხელფასსაც მიექცეს ყურადღება წარმოების ე. ი. სახელმწიფოებრივი ინტერესის თვალსაზრისით და არა მარტო კლასობრივი ბრძოლის შაბლონით. მსოფლიო წარმოების ვითარება შეიცვალა და მასთან ერთად შეიცვალა ევროპის მუშათა პოზიცია ხელფასის საკითხისადმი; მუშა გახდა ორგანიული წევრი სახელმწიფოებრივი და სახალხო მეურნეობისა. შეცვლილ ვითარებას მოერგო მუშათა კლასიც. ამას ვერც ჩვენ ავცდებით. დაგვიანებით ვავნებთ სახელმწიფოს, მაშასადამე, მუშათა კლასსაც (და არა მარტო ბურჟუაზიას) სათანადო ნაბიჯები უნდა გადადგას ჩვენმა სავაჭრო—სამრეწველო პალატამაც რომ მწარმოებელთა და მუშათა თათბირი რაც შეიძლება მალე და შინაარსიანი პროგრამით მოეწყოს. პალატის უნარზე და მუშების შეგნებაზე იქნება დამოკიდებული, როგორც შეერთებული თათბირის მოწყობა და მწყობრათ ჩატარება, ისე მისი მუშაობის ნაყოფიერება.

დასკვნა სიძვირის მიზეზია არა მარტო მწარმოების მოგების ნაწილი როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომელსაც სახელმწიფო უკვე საკმარისათ ზღუდავს არამედ აგრეთვე ხელფასის შეუჩერებელი ზრდაც, რომელიც აქნობამდე უყურადღებოთაა დარჩენილი ხელფასის მიმართ სათანადო პოზიცია დაიკავა ევროპის ყველა მუშებმა: ხელფასის ზრდის შეჩერება, სამუშაო დროის დარგობრივათ და სეზონიურათ განსაზღვრა, შრომის გაინტენსივება ძირითადი საკითხებია ევროპის მწარმოებელთა და მუშებისთვის და სახელმწიფოებრივი ინტერესის თვალსაზრისით იზომება ყველგან. ჩვენშიც უნდა გადაიდგას შესაფერი ნაბიჯი მწარმოებელთა და მუშათა წარმომადგენელთაგან შეერთებულ თათბირის მოსაწყობათ ამავე საკითხებისა. ეს იქნება ერთ-ერთი საშუალებათაგანი ჩვენი საგარეო ვაჭრობის პირობებთა მომავალ გართულების თავიდან ასაცილებლათ.

**ტიტე მარგველაშვილი.**

# დეპეშები.

## მოსკოვის ცნობები.

**იურიდიული კომისიის გაუქმება.**

**მოსკოვი.** სექტემბრის 4. საბჭოთა რუსეთის იურისტების მე 3-ე ყრილობაზე დაადგინეს: გაუქმდეს კომისია და მის გამომძიებელს დაეკისროს დამცველთა კოლეგიის მაგივრად დაარსდეს ნაფიც ვექილთა სასამართლო და სხვა

**ცენტრის საქმე.**

უმაღლეს სარევოლიუციო ტრიბუნალში შეუდგნენ ტაქტიკურ ცენტრის საქმის გარჩევას. ამ ცენტრში გაერთიანებული იყო საზოგადო მოღვაწეთა საბჭო და რუსეთის აღმდგენელთა კავშირი. საბრალდებულო ოქმში სწერია რომ ცენტრს კავშირი ქონდა უცხოეთის კონტრრევოლიუციონერებთან, რომლებიც ახლა ებრძვიან რუსეთს. ცენტრის მიზანი იყო კერძო საკუთრების პრინციპის აღდგენა და რუსეთის შინაურ საქმეებში ანტანტის ჩამორევა. ბრალდებულთა სკამებზე სხედან: ვინოგრადოვსკი, კოტლიარევსკი, მურავიოვი და შჩეპკინი. შჩეპკინის ოქმით ცენტრი ამზადებდა განსაკუთრებულ მოხსენებას რუსეთში ჩამოსასვლელ მეორე ინტერნაციონალის დელეგაციისათვის გადასაცემად. ბრალდებულმა განაცხადეს, რომ ცენტრში დაისვა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყების საკითხი. მაგრამ ყველა ერთხმად წინააღმდეგი წავიდათ. საქმე ჯერ არ დასრულებულა.

**ვრანგელის ფრონტი.**

,,პრავდას‘‘ ცნობით კომუნისტთა მოსკოვის კომიტეტს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია ვრანგელის ფრონტს უდიდესი ყურადღება მიექცეს. კომიტეტი აღნიშნავს რომ საფრანგეთს გამოყავს ვრანგელი როგორც უმთავრესი დამკვრელი ძალა. ვრანგელს უნდა დონისა და ყუბანის ოლქებში შემოჭრა და სამხრეთის ფრონტის შექმნა. ვრანგელმა თუ თუ მიზანს მიაღწია საბჭოთა რუსეთს დაუკარგავსო, სწერს „პრავდა“—დონის ქვანახშირს. ყუბანის პურს, და ბაქოსა და გროზნის ნავთს, რაც რუსეთის სახალხო მეურნეობას დიდ უბედურებას შეუმზადებს.

**აღმოსავლეთის ერთა ყრილობა.**

მოსკოვი. ენკენ. 16. აღმოსავლეთ ხალხთა წარმომადგენლების ყრილობაზე მოსულმა დელეგატებმა წინასწარ დიდი გაჭირვება გამოიარეს. მაგალითად, ოსმალეთის რესპუბლიკაში, რომ მოეხდინათ არჩევნები დელეგატებისა ყრილობაზე დასასწრებლად, ცუდ ამინდში გაგზავნეს აგიტატორები ტრაპიზუნდში. კონსტანტინოპოლიდან გამოსული ინგლისელების საყარაულო გემი ტრაპიზუნდის ახლო დადიოდა აგიტატორების დასაჭერათ მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს. ინგლისელებმა იმ მიზნით რომ სპარსეთიდან წამოსული დელეგატები არ გაეშვათ ყრილობაზე, ენზელზე თავდასხმა მოაწყვეს. აეროპლანიდან გადმოისროლეს რამდენიმე ყუმბარა. არაფერი ითქმის იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღეს ინგლისელებმა ინდოეთის საზღვრებზე და ნავთსადგურში. ყველა ეს ფაქტები გვიჩვენებს იმას, რომ ინგლისს აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა მართლა საშინელებად მიაჩნია, მაგრამ ინგლისმა მაინც ვერ შესძლო ყრილობის დაშლა. შესძლო მხოლოდ ის, რომ რამოდენიმე ათასმა დელეგატმა ვერ შესძლო მისი ბლოკადის გარღვევა.

**ზამთრის კამპანია**

დგება ცივი ზამთარი. ფრანგი იმპერიალისტები სისხლს გვიწოვენ, მოსვენებას არ გვაძლევენ, ხელს გვიშლიან სამშენებლო მუშაობაში და იძულებულს გვხდიან, ყველაფერი კარგი ფრონტს მოვახმაროთ ცხოვრება თითქმის სრულიად, ნამეტურ საგრძნობია ეს ზამთრობით უნდა ვიზრუნოთ, რომ მუშაობა გავაჩაღოთ ფაბრიკებსა, სახელოსნოებსა და ქარხნებში. ახლანდელ პირობებში დალაგებული ეხურება შეუძლებელია. ბევრი მუშაობა საჭირო, რომ გაიწმინდოს სამუშაო ადგილები ტალახისა და ნაგავისაგან და შეკეთდეს ასეთ შენობათა კარფანჯრები. ახლა უნდა მოვიკრიბოთ ძალა. ჩვენ სხვა არავინ დაგვეხმარება, ყველაფერი ჩვენს ძალაზე და ენერგიაზეა დამოკიდებული ყოველივე ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს. შრომის დაცვის კვირაში მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა შემოვიკრიბოთ, ვინაიდან ესაა ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის კვირა.

**ქვანახშირის აღმოჩენა**

ქვანახშირის მიდანი ტაგანროგის მაზრაში აღმოაჩინეს ქვა-ნახშირის ახალი მადანი სიღრმით 5 საჟენი. მის დასამუშავებლად შეხვდა სსითო შრომის არტელი.

**სამხედრო მოქმედება.**

გროდნის სამხრეთ დასავლეთით ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა. ბელოვეჟსკის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. კობრინსკის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. კობელის რაიონში ჩვენ მტრის საავტომობილო რაზმი დავამარცხეთ, მას კოველის სამხრეთ—აღმოსავლეთით უნდა გასვლა. როკიტნის ჩრდილოეთ დასავლეთით ბრძოლაა. გალიჩის რაიონში ჩვენი ჯარი დნესტრის მარცხენა ნაპირზე გადმოსულ მტერს შეებრძოლა. ყირიმის მხარეში, ორეხოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი მოიგერია.

## საინფორმაციო განყოფილების ცნობები

**სადღვთო ომი ბოლშევიკების წინააღმდეგ.**

პარიზი. სექტემბრის 4. ლეჰპიულერი იუწყება, თანახმად სარწმუნო წყაროებისა გენერალმა ჰოფმანმა მიმართა ლოიდ-ჯორჯს თხოვნით შესწყვიტოს კრასინთან და კამენევთან ყოველგვარი მოლაპარაკებაზედ მოაწყოს მოსკოვის წინააღმდეგ ევროპის სადღვთო ომი. გაზეთები გადმოგვცემენ რომ ეს განცხადება მხოლოდ სიცილს გამოიწვევს.

**ბოლშევიზმი და საფრანგეთის მუშათა კლასი.**

**პარიზი,** სექტემბრის 5. პრესა აღნიშნავს რომ საფრანგეთის მუშათა კონგრესმა ბოლშევიკების წინააღმდეგ გაილაშქრა და მესამე ინტერნაციონალში შესვლაზე უარი სთქვა. ეს თვალსაზრისი საერთო კონფერენციის ნაციონალურმა საბჭომაც გაიზიარა. კონფედერაციის მდივანმა განაცხადა: ლენინიზმი შეკავშირებულ მუშებისათვის მიუღებელია. მეტალისტთა ფედერაციის მდივანი მერეიმი, რომელიც ომის დროს ლენინსა და ტროცკის იცავდა ეხლა ბოლშევიზმი პეტროგრადიულ ხასიათის მილიტარისტულ დიქტატურათ მიაჩნია, და ის ისევე საშიშია ამბობს იგი, როგორც კაპიტალისტური მილიტარიზმიო.

**ქალების საარჩევნო უფლება ამერიკაში.**

**ვაშინგტონი,** სექტემბრის 6. კანონი ქალებისათვის აქტიურ საარჩევნო უფლების მიცემის შესახებ არ განხორციელებულა. მისი ცხოვრებაში გატარება დროებით გადაიდო.

**არეულობა ირლანდიაში.**

**ლონდონი,** სექტემბრის 1. ირლანდიის პოლიცია ოფიციალურად იტყობინება, რომ მაისსა და ივნისში ირლანდიაში დაანგრიეს 2 სასამართლოს შენობა. 10 შენობა სერიოზულადაა დაზიანებული. დაანგრიეს აგრეთვე პოლიციის ყაზარმა, და მიაყრობისა და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები.

# ქრონიკა.

## სამინისტროებში.

— **ბრძანება.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა მიმართ შემდეგი შინაარსის ბრძანება: 1913 წელს მაზრაში ოსმალეთის ბრბოების შემოსევის დროს ბევრი მოქალაქე იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი და გადახვეწილიყო სხვაგან. ამ ჟამად რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ ენერგ. ზომების მეოხებით მაზრაში მშვიდობიანი ცხოვრება დამყარდა. ამიტომ გადახვეწ. უბრუნდებიან მიტოვებულ კერას, მაგრამ მიტოვებულ სახლ-კარი მათ მინგრეულ მონგრეული ხვდებათ და ამის გამო უძიმთ ოჯახის აღდგენა. მივაქცევთ რა მაზრის მცხოვრებთა ყურადღებას ამ მოვლენას მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მცხოვრებნი მიიღებენ მხედველობაში თავიანთ მოძმეთა მძიმე მდგომარეობას და მეზობლურად მოაშველებენ მათ, როგორც მუშა საქონელს ისე მუშა ხელსაც განადგურებულ სახლ-კარის აღსადგენად. შინაგან საქმეთ მინისტრის ამხანაგი **ჭიჭინაძე.** ამავე დროს გამოქვეყნდა ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა მიმართ ასეთი შინაარსის ცირკულიარი: ახალქალაქის მაზრაში 1918 წელს ოსმალეთის ბრბოების თარეშის დროს ზოგიერთებმა ისარგებლეს არეულობით და თავიანთ შეუნებლობით დაიტაცეს და მიითვისეს თავიანთ მეზობლების ოთხფეხი საქონელი და საოჯახო ნივთები. ვინაიდან ყოვლად დაუშვებელია ასეთი მოქმედება ამიტომ მე ვუბრძანებ მაზრის მცხოვრებთ დატაცებულ და მითვისებულ ოთხფეხი საქონელი და საოჯახო ნივთები ათი დღის განმავლობაში დღიდგან ამა ბრძანების გამოცხადებისა თავის ნებით ჩააბარონ სამაზრო ერობის გამგეობას. ისინი ვინც ბრძანების თანახმად მოიქცევიან განთავისუფლებულნი იქნებიან ყოველგვარი სასჯელისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდა იმისა რომ მათ ჩამოერთმევათ მითვისებულნი ნივთები სასტიკად დაისჯებიან რესპუბლიკის კანონების მიხედვით

— **ეროვნული უქმეები.** შრომის სამინისტრომ მიმართა სომეხთა, მამადიანთა და ებრაელთა ნაციონალურ საბჭოებს წინადადებით, რათა დაუყონებლივ აცნობოს სამინისტროებს თუ რომელი დღე ითვლება მათ ერში ეროვნულ უქმეთ. განზრახულია ასეთ დღეებში ხსენებულ ეროვნების მუშები მუშაობისაგან გაანთავისუფლონ.

## პროვინცია.

— **ხ. გურჯაანი.** სექტემბრის 12-ს აქ შესდგა კოოპერ. საზ. ,,კავშირთ—კავშირის, რწმუნებულთა კრება, რომელმაც აირჩია საზოგადოების გამგეობის ახალი წევრი, ნაცვლად თავის თხოვნით გამოსულა მირაქიშვილსა, რომლის ნაცვლად არჩეულ იქმნა სოლ. ჩოლოყაშვილი, ხოლო მის კანდიდატად ალ. ხატისკაცი.

— **ქ. ახალქალაქი.** მარიამობისთვეს 28-ს აქ ჩამოვიდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, შინ. სამ. მინისტრი ნ. რამიშვილი და აკ. ჩხენკელი. ქალაქის საზღვარზე მათ დიდებულად შეეგებნენ ამხ. ,,მწყემსის‘‘ წევრნი ცხენ და ცხენ და მთავრობის თავმჯდომარეს სიტყვით მიმართეს ამხ. ,,მწყემსის‘‘ რწმუნებულებმა შაქრო ბეგიშვილმა და ვაშაკიძემ გააცნეს ბ. ჟორდანია ამხ ნაგობის მიზანსა და მოქმედებას. ბ. ჟორდანიამ გულდასმით მოუსმინა მათ მოხსენება და შემდეგ ქალაქის თვალსაჩინო ადგილები და დაწესებულებანი დაათვალიერა.

## სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის.

სექტემბრის 13 ფინანსთა სამინისტროში იუსტიციის მინისტრის არსენიძის თავმჯდომარეობით მოხდა მეორე სასწრაფო სხდომა საქართველოს და რუსეთის შორის სავაჭრო სატრანზიტო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად. კრებას დაესწრო ყველა უწყებათა წარმომადგენელი საქართველოს ეკონომიურ მისიის მრჩეველი კანდელაკი, დამფუძნებელი კრების წევრები, სახელმწიფო ბანკის მმართველი და სხვები. მომხსენებელმა ა. კანდელაკმა საგანგებო კომისიის სახელით პირველ სხდომაზე შედგენილი 6 თეზისის შესახებ მოხსენება გააკეთა. მომხსენებელმა შემდეგ მოითხოვა საჭიროება მუხლებრივ განხილვისა. ორატორები პროექტის უარყოფით მხარეს აღნიშნავდნენ. პროექტის მუხლები მცირე შესწორებით მიიღეს. ბოლოს დაადგინეს: დაიდვას ხელშეკრულება ერთი წლით გაგრძელების უფლებით, საქართველოს მისიის ეკონომიურ განყოფილების მრჩეველმა კანდელაკმა განაცხადა, რომ რუსეთთან ეკონომიურ სატრანზიტო ხელშეკრულების პროექტი ორივე მხრით თანასწორ პასუხის მგებლობის საფუძველზე არის აგებული. მომავალში ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთისა და საქართველოს შორის, მიუხედავად პოლიტიკური მიმართულების სხვადასხვაობისა ორივე სახელმწიფოების სწორად გაგებულ ინტერესებზე იქნება აგებული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს სავაჭრო ხელშეკრულება ძალაში შევა.

## ვანდერველდეს სიტყვა.

**მუშათა დეპუტ. საბჭოს საზეიმო სხდომაზე სახალხო სახლში.**

საქართველოს უძმებს სოციალისტებს ძმური სალამი დასავლეთის სოციალისტებისაგან ჩვენი დელეგაციის სახელით თქვენს წინაშე მე მივესალმები 2 ნამდვილ კეთილშობილსა და სოციალიზმის წმინდა სახეებს“—ამხ. ნოე ჟორდანიას

...კარლო კაუცკის. მე ბედნიერი ვარ მივესალმო ჟორდანიას. როდესაც მას ვხედავ, იმ დროს მე ვფიქრობ, არც კი იქნება მეორე ქვეყანა, სადაც ერთი და იგივე კაცი ერთი დღის განმავლობაში მიესალმებოდა ჩვენს დელეგაციას სადღეგრძელო, როგორც ს. დ. პარტიის ცენ. კომიტეტის თავმჯდომარე, დამფუძნებელ კრებაში, როგორც მთავრობის თავმჯდომარე და აქ როგორც მუშათა ორგანიზაციების მეთაური. მე ვწითლდები ფიქრით: ნ. ჟორდანია რომ ბელგიაში მოხვედრილიყო, მე მივიღებდი მას სახალხო სახლში მაგრამ, მივიღებდი როგორც ბელგიის სამეფო მთავრობის წევრ-თავმჯდომარეს, მაგრამ შემიძლია განვაცხადო რომ ბელგიის პროლეტარიატი მიიღებდა მას მხურვალეთ და ხელ გაშლილათ. მე ვწუხვარ, რომ ჩვენთან არ არის კარლ კაუცკი, რომელიც ყოველ მძიმე წამში ჩვენი დამცველი იყო: მე ვსურდა, რომ ის ჩვენთან ყოფილიყო ჩვენთვის საუკეთესო ...ქნებოდა—დაგვენახა განხორციელებული მისი სათაყვანებელი ფიქრები. აქ ამ ორი დაუვიწყარ დღეებში ჩვენ დავინახეთ ის, რაც არას დროს არ დაგვავიწყდება. დემოკრატიის იდეების განხორციელება და დავინახეთ გზა, რომლითაც მიდის საერთაშორისო სოციალიზმის იდეალების განხორციელება. პირველად ვხედავთ ჩვენ გაერთიანებულ არა მარტო სოციალისტურ პროლეტარიატს, არამედ მთელ ხალხებს, გამსჭვალულს სოციალიზმით. ამ ხალხისა და მისი ჯარის ბრძოლაში მონაწილეობა აუცილებელია სოციალიზმის განხორციელებისა და გამტკიცებისათვის. იმისათვის, რომ დამხობილიყო ცარიზმის ძლიერება აუცილებელი იყო ძლიერი ბრძოლა. საჭირო იყო ისეთი მებრძოლნი, როგორც წერეთელი და ჩხეიძე მე მივესალმები ამ მებრძოლთ და ბრძოლაში დაღუპულ ყველა გმირებს, რომლებმაც თავისუფლებას და სოციალიზმს შესწირეს სიცოცხლე. წყვდიადის დამარცხება ძნელი იყო; რადგანაც თვითმპყრობელობა ძლიერი და დაუძლეველი გვეჩვენებოდა. და მის დახამარცხებლად საჭირო იყო მსოფლიო ომის წყვდიადში ...ციდან რუსეთის რევოლიუციის ელვის გამოვლინება. მე ვამბობ, რუსეთის რევოლიუციას არ უარვყოფთ, მაგრამ მე თქვენი მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად ვაცხადებ მას, რაც ანგრევს სოციალიზმს. ბოლშევიკები ამტკიცებენ, რომ შეიძლება სოციალიზმის აშენება უდემოკრატიოთ, ჩვენ კი ვამბობთ, არ არის დემოკრატია უსოციალიზმოთ, ისე როგორც არ შეიძლება სოციალიზმი უდემოკრატიოთ. გასაგეთ როგორც სწერია სახარებაში მათი საქმის და მიხედვით სამართალი გვიჩვენებს, რომ ბოლშევიზმის ნაყოფი—მხოლოდ მტვერი და ნაცარია. გასაგებია, ამიტომ, რომ როდესაც საქ. მუშებს სურდათ რუსეთის საზღვარზე გადასვლა რუსეთის მუშათა მდგომარეობის გასაცნობათ, მათ შესძახეს—უკანვე.

რუსეთის მთავრობა ვერ იტანს სინათლეს. საქართველოს მთავრობა არა თუ უშვებს უცხოელ სოციალისტებს თავის სახელმწიფოში, არამედ თვით მოუწოდებს მათ და ფართოთ უხსნის კარებს."

ვანდერველდეს სიტყვის დასასრულს და დანარჩენ ორატორთა სიტყვებს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

(დასასრული იქნება).

## პასუხად

საქართველოში ისე წახდა ესთეტიკის საქმე, რომ გრიშაშვილებზე ლაპარაკობენ კიდევ; მაგრამ საბედნიეროდ არც ისე წამხდარა, რომ ფაშალიშვილებზე ილაპარაკონ. ალბად ეს თუ არის მიზეზი იმისა, რომ ფაშალიშვილს აშლია წერის საღერღელი და როგორც დაუღალავი გრაფომანი ფელეტონს ფელეტონზე ამზადებს გრიშაშვილის დასაცავად. თუ ახლა ფაშალიშვილზე ვილაპარაკებ, ეს მხოლოდ მისთვის, რომ ჩვეული ვარ პირისპირ პატივისცემას: „სახალხო საქმეს" სადაც ფაშალიშვილი იბეჭდება, ძველი ლიტერატურული ტრადიციები აქვს.

დააკვირდით თუ როგორ ამზადებს წერილებს ფაშალიშვილი, რომელსაც ქიზიყის ველების მეტი არა უნახავს! თქვენ დასწერეთ მაგალითად რაიმე. იგი მას ან ვერ გაიგებს ან სხვანაირად გაიგებს და შეუდგება გაუგებრობის გოდოლის შენებას, თქვენ უპასუხებთ, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ იგი ამ განმარტებასაც ვერ გაიგებს ან სხვანაირად გაიგებს და გაუგებრობის გოდოლის შენებას სიზიფის შრომით განაგრძობს. და გროვდება გაუგებრობა გაუგებრობაზე და გორდება მთელი გორა ამ საშინელი გაუგებრობისა.

მაგალითები რამდენიც გნებავთ.

ჩემს წერილში რიტმის შესახებ არ მქონია ლაპარაკი იმ „განმეორებაზე", რომელიც ლექსის წყობას ახასიათებს, ფაშალიშვილმა ჩემს წინააღმდეგ მაგალითებს შორის მოიყვანა ბალმონტის ლექსი, სადაც „განმეორება" თვითონ ლექსის წყობას ახასიათებს. ეს არის ფაქტი. აქედან ლოგიკა ასე დაასკვნის: ფაშალიშვილმა „ვერ" გაიგო ჩემი ნათქვამი. ჩემს საპასუხო წერილში ეს ფაქტი აღვნიშნე. ფაშალიშვილს ახლა მაინც უნდა გაეგო თუ „რაშია საქმე". არა: მას იგი „ვერ გაეგება" თან სდევს აჩრდილივით. მას მოჰყავს მაგალითად გრიშაშვილის ერთი ლექსი, რომელშიაც „განმეორება" ლექსის წყობის მახასიათებელია, სწორედ ისეთი, როგორიც არის ბალმონტის ლექსში. და მე იძულებული ვარ კიდევ განვუმეორო მას, რომ ასეთს „განმეორებაზე" არ მქონია ლაპარაკი. და ასე—დაუსრულებლად.

ეს კიდევ არაფერია. ფაშალიშვილის მეორე საპასუხო წერილიდან სჩანს რომ მას ისიც ვერ გაუგია, თუ რა არის „განმეორება" ლექსის წყობისდამახასიათებელი. მას მოჰყავს გრიშაშვილის ლექსი „ტოკავდა" როგორც მაგალითი, სადაც ვითომ „განმეორება" წყობის ფორმად არის აღებული. მაგრამ იგი ასეთი რომ არ არის?! აქ „განმეორებით" ვერავითარ წყობას ვერ გამოვიყვანთ. არც ლექსი „შორეულს" არის ასეთი, როგორც მას ჰგონია (—ყოველი ხანა „და"—თი იწყებაო), რადგან ხანა მასში ხუთი არის და სტრიქონის „და"—თი დაწყება კი შვიდი.

გავყვეთ ქვევით მე მქონდა ლაპარაკი ისეთს „განმეორებაზე" რომელიც ლექსის წყობას არ ახასიათებს. ასეთი „განმეორების" წინააღმდეგი მე არ ყოფილვარ: მე ვიყავი (და ვარ) წინააღმდეგი მისი გამასხარავების. ფაშალიშვილმა კი ისე გაიგო ჩემი ნათქვამი, თითქო მე საერთოდ, განმეორების წინააღმდეგი ვიყო. ჩემს საპასუხო წერილში ავნიშნე ეს გაუგებრობა. ფაშალიშვილს ახლა მაინც უნდა გაეგო თუ „რაშია საქმე". არა: იგი გაუგებრობის გარეშე ვერაფერს იტყვის და თავის მეორე საპასუხო წერილში სწერს კიდეც: „რობაქიძემ აშკარად აღიარა, რომ მას არსებითად საწინააღმდეგო არ აქვს (ბასია „განმეორებაზე" საერთოდ; გ. რ.) მაშასადამე წერტილი უნდა დაესვა და უკან წაეღო თავისი პირველი წერილი".

გაუგებრობა ამაზე შორს ვერ წავა! რათ უნდა წამეღო უკან პირველი, წერილი როცა იქ ის არის ნათქვამი, რაც მეორე წერილში?! არ გჯერათ! მაშ წაიკითხეთ: „რიტმის გასაშლელად ხშირად განმეორებას მიმართავენ. ეს ხერხი მეტად ძნელია და მხოლოდ მეტრმა უნდა მიმართოს მას".

და აი ასე—ყველგან. ფაშალიშვილი როცა ლაპარაკობს სიტყვების განმეორებაზე ლექსში, სხვათა შორის ასეთი ფრაზით განაგრძობს საუბარს: „ხოლო რაც შეეხება ლექსების ღირსებას, ეს მეორე საკითხია და ამაზე ცალკე შეიძლება ლაპარაკი". აქ კი პირდაპირ შეცდომაა: მერე ისეთი, რაიც არ ეპატიება მწერალს, რომელიც პოეტობს. ფაშალიშვილმა უნდა იცოდეს, რომ ლექსის ღირსებაში იმთავითვე შედის რიტმიც. უნდა იცოდეს ისიც, რომ სიტყვების განმეორება რიტმის საკითხია სხვათა შორის. აქედან კი ლოგიური აუცილებლობით უნდა დაასკვნას: როცა ლაპარაკობ რიტმის შესახებ (ამ შემთხვევაში სიტყვების განმეორებაზე), ლაპარაკობ თანვე ლექსის ღირსებაზე დაც. ეს არ გაეგება ფაშალიშვილს და გაიძახის: „სხვა საკითხია" და „ცალკე შეიძლება ლაპარაკიო".

მაგალითების გაგძელება შორს წაგვიყვანდა. მოყვანილიც საკმაოა იმის დასასურათებლად, რომ ფაშალიშვილის ჯერ უბრალო მსჯელობაც კი ვერ გაუმართავს ხეირიანად.

აქ დავსვამდი წერტილს, რომ ფაშალიშვილი ერთს „არგუმენტს" არ მიმართავდეს, რომელიც არა მარტო მისთვისაა ჩვეული, ეს „არგუმენტი" მაშინ მოადგებათ ხოლმე პირზე, როცა სათქმელი გამოელევათ. რომ გრიშაშვილის ლექსების რიტმში კაკაფონიაა თავიდან ბოლომდე, ამას ვერ დაარღვევენ ვერავითარი ფაშალიშვილები: გრიშაშვილის წიგნიდან ლექსების უბრალო გადმობეჭდვაც კი უკვე სრული განადგურებაა გრიშაშვილის. მაგრამ ფაშალიშვილს აქვს ხსენებული „არგუმენტი",—და მეტი, რომ არა დარჩენია რა, მას ებღაუჭება გახარებული.

აი ეს „არგუმენტიც":

რობაქიძე უწინ აქებდა გრიშაშვილს, ახლა კი აძაგებს მას,—აქედან...

სანამ ეს სილლოგიზმი გაიმართებოდეს, ყოველი კეთილშობილი მწერალი შეჩერდება და თავის თავს დაეკითხება: რომელი რობაქიძეა მართალი უწინდელი თუ ახლანდელი? მაგრამ ფაშალიშვილს ეს არ აინტერესებს: იგი არ სცილდება სილლოგიზმს:

რობაქიძე უწინ აქებდა გრიშაშვილს, ახლა კი აძაგებს მას,—აქედან...

სანამ ეს სილლოგიზმი გაიმართებოდეს, ყოველი კეთილშობილი მწერალი დაფიქრდება: შესაძლოა რობაქიძეს თავის ესთეტიურს ვითარებაში აზრი შეეცვალა. ცვლილებისაგან დაზღვეული არავინ არ არის გარდა იდიოტებისა, აზრის შეცვლა ბუნებითი მოვლენაა და გასაკვირი აქ არა არის რა, მაგრამ ფაშალიშვილს ეს არ აწუხებს: იგი არ სცილდება სილლოგიზმს:

რობაქიძე უწინ აქებდა გრიშაშვილს, ახლა კი აძაგებს მას,—აქედან...

და განაგრძობს პრიმიტიული მსჯელობით: აქედან შემდეგი ახსნა: რობაქიძე შემოვიდა პოეზიაში და დაიწყო „ბაზრის" ძებნა; ხოლო რადგან რობაქიძემ იცის, რომ „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წასწყმიდოს", შეუდგა იგი გრიშაშვილისა და მის თანამოკალმეთა ძაგებას.

დასკვნა რასაკვირველია ძალიან ადვილად მოუქნევია ფაშალიშვილს, მაგრამ მას დაივიწყებია შემდეგი:

რობაქიძემ კარგათ იცის, რომ „ბაზარი" საზოგადოთ გრიშაშვილებს და ფაშალიშვილებს ელანდებათ ცხელებიანი შურვილით.

რობაქიძემ კარგათ იცის, რომ ეს გამოთქმა—„ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს თუ მეორე არ წასწყმიდოს" დამახინჯებაა რუსთაველის სიტყვის: მართებულია „წარიწყმიდოს" და არა „არ წასწყმიდოს", რითაც ნამდვილი აზრი იძლევა მე-296 ტაეპს, ეს სხვათა შორის; თუმცა ბ. ქადეიშვილის ნ. მარრის ცოდნა მოეთხოვება მწერალს, რომელიც რუსთაველს ეპოტინება.

რობაქიძემ კარგათ იცის აგრეთვე,—და ეს არის თავი და თავი,—რომ ფიქრი: „ბაზრის" შოვნისთვის სხვა ადგილო და შენ ამაღლე ქვეყნური ზრახვაო მხოლოდ, რომელიც ჩვევიათ კაცუნებსა და სმერდიაკოვებს.

ეს რომ ეგ დაივიწყონ ფაშალიშვილებმა, რომლებიც ენას ისე ვერ მოაბრუნებენ, რომ სხვას გულნადებში ცუდი რამ არ დასწამონ, არც საკვირველია: რასაც თავის თავში მზერენ, სწორეთ ის ელანდებათ სხვის სულში:

მაგრამ „ფაქტები"?!

ფაშალიშვილს მოჰყავს „ფაქტები" პირადი უთანხმოების, რომელიც ვითომ—და თავს დაერთო ჩემიერ გრიშაშვილისა და მის თანამოკალმეთა ძაგებას. გადავაცხრილოთ ეს „ფაქტებიც".

პირველი: ფაშალიშვილმა თუ არ იცის სხვებისაგან მაინც შეიტყოს, რომ ქერეშვილის საღამოზე ქუთაისში მე სერგო კლდიაშვილთან მომიხდა ინციდენტი და არა გრიშაშვილთან.

მეორე: ჩემს ვითომ და „მარცხს" კამათის დროს გრიშაშვილთან სონეტის შესახებ დაიჯერებს მხოლოდ ის, ვისაც „ბარაშკაჯანის" მეტი არა გაუგონია რა. ხოლო ვისაც სონეტი უყვარს და მისი ფორმის რამე ესმის, მას ეს მოთხრობილი ამბავი სიცილადაც არ ეყოფა. ასეთებმა კარგათ იციან, რომ გრიშაშვილს სონეტის ის იმდენი გაეგება, რამდენიც „არშინ მალალ ანის" ასკარას ბრომმელის ყელსა ხვევისა. თუ არ გჯერათ, წაიკითხეთ მისი „საიათნოვა", სადაც იგი ასეთის უვიცობით გაიძახის, რომ სონეტის ოქტავის ორი რითმით გამართვა რუსეთის პოეტებმა შემოიღეს.

მესამე: ფაშალიშვილი ამბობს: მე დავწერე „შვილდოსნის" შესახებ ორი ფელეტონი, სადაც რობაქიძის პოეტობა ავით მოვიხსენიეო, აქედან: გადამტერება და სხვა. შემიძლია დავამშვიდო ფაშალიშვილი: მისი ფელეტონები „შვილდოსნის" შესახებ, რომ იტყვიან, თვალითაც არ მინახავს (ალბათ ჩემი ბაქოში ყოფნის დროს თუ დაიბეჭდა) და იმდენათ „საინტერესონი" ისინი, რომ ჯერაც არ წამიკითხავს.

ფაშალიშვილებს შეუძლიათ სწერონ რამდენიც უნდათ და ეძიონ „ბაზარი" სადაც უნდათ. ხოლო ერთი რამ საბოლოოდ უნდა დაიხსომონ: იქ, სადაც გრიშაშვილებსა და ფაშალიშვილებს აქვთ დახვავებული, იქ რობაქიძე ან რომელიმე სხვა „ყანწელი" არა თუ „ბაზრის" ძებნას დაიწყებს, არამედ უბრალო გავლასაც სირცხვილად ჩაითვლის.

გრ. გოლ. რობაქიძე.

## მუშათა შორის.

გაზ. „ბორბა" № 210 დაბეჭდილია შემდეგი: პროფესიულ კავშირთა საბჭომ ბათომში განიხილა ყოველმხრივ საკითხი სიძვირისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, უარჰყო დამღუპველი გზა ხელფასის გადიდებისა და გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ ენერგიული მოქმედება საზოგადო სავაჭრო სამრეწველო აპარატისა და კერძოდ მუშათა მაგიდისა, შეუმსუბუქებს მუშათა კლასს იმ ნივთიერ მდგომარეობას, რომელშიაც ეხლა ის იმყოფება.

საგულისხმოა ეს დადგენილება მითი, რომ საქართველოს მნიშვნელოვან ნავთსადგურის მუშები იზიარებენ იმ თვალსაზრისს სიძვირესთან ბრძოლაში, რომელიც უკვე დიდი ხანია ხაზგასმით აღიარა ევროპის მოწინავე მუშებმა, და რომელიც ჩვენ ჩვენს გაზეთში აქამდე ყოველთვის ხაზგასმით ვიცავდით: გადიდება საკუთარ წარმოებისა და ხელფასის ზრდის შეჩერება, მუშათა ნივთიერ მდგომარეობის გაადვილებით. ჩვენ მუდამ იმ აზრისა ვიყავით, რომ ხელფასის გადიდება ფულად არ ნიშნავს მუშის მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ ნიშნავს ცხოვრების ძალზე გაძვირებას, რაც სიმძიმეთ აწვება ბოლოს ისევ მუშასა და მთელს ხალხს.

მოხარულ ვართ, რომ გადაიდგა ეს პირველ სუსტი ნაბიჯი ამ მიმართულებით ე. ი. ჩვენსკენ და ღრმათ დარწმუნებულ ვართ, რომ ახლო მომავალში მართველ წრეებიც იძულებულ იქნებიან სავსებით მიიღონ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის სხვა დებულებებიც.

## კონფერენცია სამურზაყანოში.

ენკენისთვის 12-ს გალში შესდგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამურზაყანოს მეორე სამაზრო კონფერენცია; ადგილობრივი სასოფლო კომიტეტების მანდატებით კონფერენციაზე გამოცხადდა 18 სათემო ორგანიზაციების დელეგატები. კრება გაიხსნა დილ. 11 ს. ჯოტორო შართას თავმჯდომარეობით.

ამ ექვსი თვის წინადო,—ბრძანა თავმჯდომარემ,—საქართველოს დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების გამო, გალში დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი. რევოლიუციის პირველ დღიდან ამ დღემდე მთელმა სამურზაყანომ პარტიული ძალთა განწყობილების მხრით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არსებობის შესახებ თითქმის არაფერი იცოდა. იყვნენ კერძო პირები, რომელნიც არც ერთს საზოგადო ხასიათის კრებებზე არ გამოსულან და თავიანთი აზრი არავისთვის არ გაუზიარებიათ. ასეთს გაურკვეველ პირობებში დიდი გამბედაობა იყო ჩვენთვის ის რომ სამაზრო ერობის არჩევნების დროს ს. ბარღებისა და ს. მოქვის მცხოვრებლებმა პიროვნულად წამოაყენეთ მელიტონ ემუხვარის კანდიდატურა ამ შემთხვევაში არ ყოფილა არავითარი პარტიული აგიტაცია, არც ემუხვარი მიგვაჩნდა ეროვნულ-დემოკრატად და თვით ჩვენი,—ამომრჩევლების პოლიტიკური ფიზიონომიაც არ იყო გამორკვეული; ჩვენ გვახასიათებდა ყველა სოციალისტურ პარტიების მიმართ მხოლოდ ოპოზიცია და ერთი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ყოფილა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ოპოზიცია. დამფუძნებელი კრების დამატებით არჩევნების დროს, ჩვენი მოქმედება და აზროვნება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა და რაღაც ოცდა რვა დღის მუშაობით თითქმის მთელი სამურზაყანოს მოწინავე სოფლები შეიკრა მჭიდრო პარტიული კომიტეტებით. იმ ხანებში ჩვენ კონფერენციის მოწვევაც კი შევძელით, რომელსაც დაესწრო მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე და დამფუძნებელი კრების წევრი ბ. სპ. კედია. აქედან ჩაეყარა საფუძველი ჩვენი პარტიის მუშაობას სამურზაყანოში და დღეს ამ მეორე კონფერენციამ უნდა გადავსინჯოთ ის რაც გავაკეთეთ და ისიც თუ რა უნდა გავაკეთოთ მომავალში.

მწუხარებით უნდა ავღნიშნო, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ ჩვენ სავსებით მოვწყდით პარტიის ცენტრალურ ორგანოს,—მთავარ კომიტეტს; მას შემდეგ სამურზაყანოში ყველაფერი მიყრუვდა, არც კაცი, არც გაზეთი, არც ცნობა, იყო უბრალო მიწერ-მოწერა, რომელსაც არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

დღევანდელმა კონფერენციამ სავსებით უნდა გაითვალისწინოს ჩვენი მოქმედების ასპარეზი. ჩვენ ... რიგი საკითხებისა, რომ... ნობთ მდივანი.

კრებამ დაამტკიცა შემდეგი საკითხები: 1) ეკონომიური მდგომარეობა, 2) კოოპერატივი, 3) პარტიებთან დამოკიდებულება 4) სასოფლო კომიტეტები 5) გაზეთი და კორესპონდენცია 6) სამურზაყანოს ორგანიზაციების ფინანსიური მდგომარეობა და 7) მომავალი საერობო არჩევნები.

მორიგი საკითხების განხილვამდე კრებამ მოისმინა თბილისიდან სავანგებოდ კონფერენციაზე გამოგზავნილი პარტიული რწმუნებულისაგან ინფორმაციული ხასიათის მოხსენება რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ზოგიერთ შეკითხვების შემდეგ კრება შეუდგა დღიური საკითხების განხილვას. სამურზაყანოს ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ჯოგოლი შამუგია. დელეგატი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით სოხუმის ოლქის და კერძოთ სამურზაყანოს სრულს განადგურებას უქადის ჩვენი მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა. მონოპოლიამ, რეკვიზიციამ, კონფისკაციებმა თუ სხვა მზგავსი ხასიათის ვაჭრობა მრეწველობის შემზღუდველმა ზომებმა ხალხი დაამშია და გაატიტვლა. ჩვენ არ გვაქვს საშუალება ჩვენი საქონელი თავისუფლად გავყიდოთ იქ სადაც ბაზარი არის და თავისუფლად მოვიტანოთ ჩვენთვის საჭირო საქონელი იქიდან საიდანაც ჩვენ გვინდა. ჩვენსა და ფაბრიკა ქარხნების პატრონებს შორის, ე. ი. მომხმარებლებსა და და კაპიტალისტებს შორის მომქმედი ძალები—ვაჭრები სრულებით მოისპო; ასეთი პოლიტიკის წყალობითა და საქონლის მომწოდებლის მაგივრობას დღეს ეწევიან სასურსათო კომიტეტები, თუ ერობები. სამი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ასეთი ორგანიზაციების მოღვაწეობა ჩვეულებრივი ხასიათის სპეკულიაციას ვერ სცილდება და ქვეყნის ნივთიერ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს. საქართველოს სხვა კუთხის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ და სამურზაყანოს შესახებ კი თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ჩვენ რაც გვქონდა ის შემოგვეძარცვა და რისი შოვნაც სხვისგან შევძლო იმისი იმედი სავსებით დავკარგეთ. თუ ასე გაგრძელდა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური ცხოვრების წარმართვა, სამურზაყანოელი მალე დაემზგავსება იმ ცოდვილ ადამსა და ევას, რომელნიც სხეულს ლეღვის ფოთოლით იფარავდენ. ასეთს პირობებში ჩვენ არ გვაქვს იმედი ჩვენი მთავრობის დახმარებისა, და ამიტომ საჭიროა ჩვენმა პარტიამ,—რომელსაც აქვს ნდობა და ავტორიტეტი როგორც, უცხოეთი-

## პროფესიული კავშირები და სახელმწიფო.

სოციალ დემოკრატიას რომ საქართველოს სახელმწიფოს შექმნაში ღვაწლი მიუძღვის, არავინ არ უარჰყოფს.

იყო დრო, როცა ხსენებული პარტია საქართველოს ავტონომიასაც კი უარჰყოფდა და ამ ნიადაგზე სხვა პარტიებთან დიდი ბრძოლა ჰქონდა.

მაგრამ ეროვნული იდეა უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე მას ეგონა, და ცხოვრებამ თვით ეს უარმყოფელი გამოიყვანა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლად,

მიუხედავათ ამისა ხსენებული პარტია ჯერ მთლად ვერ განთავისუფლდა მეტაფიზიკური დოგმების მეუფებისაგან და ვერ დაადგა სწორ გზას. და, უეჭველია, ამით ბევრი წავაგეთ.

და ჩვენ მოვალედ ვთვლიდით თავს, სოციალ-დემოკრატიისათვის მის შეცთომები გვეჩვენებინა, მისი მოქმედების სასტიკი კრიტიკა გვეწარმოებია.

და ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ამას ბევრი რამ შერჩა ნაანდერძევი, რაც ყოველგვარ აშენებლობას, მაშასადამე, სახელმწიფოს შექმნასაც—ხელს უშლის.

სოციალ-დემოკრატიამ, როგორც ყველაზე უფრო მოწყობილმა ორგანიზაციულად მთელი ხალხი აამოძრავა და საერთო დროშის ქვეშ დააყენა.

მაგრამ ყოველი პოლიტიკური და სოციალური რევოლიუცია, რომელიც კი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას ნორმალურ კალაპოტში არ აყენებს, ბოლოს და ბოლოს რეაქციას ჰშობს.

ხალხი სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდეს, ერის ეკონომიური მდგომარეობა განსაცდელში არ უნდა იყოს.

და, თუ რევოლიუციონურ ჯგუფს რომელსაც არ ძალუძს გაუძღვეს სახალხო ეკონომიურ საქმიანობას, ნება გვაქვს ვუთხრათ: „იყო მომენტი, როდესაც ერისთვის შენი წინამძღოლობას საჭიროდ ვთვლიდით, მაგრამ ერის ეკონომიურ წარმატებას წინ ეღობები. ჩამოდექი და გზა დაუცალე იმას, ვისაც მეტის გაკეთება შეუძლიან. შენ შენი დრო უკვე მოსჭამე. მაშ მშვიდობით!"

სწორედ ასე ეტყვის ერი მმართველ პარტიას, თუ დღევანდელი დამღუპველი ეკონომიური პოლიტიკა არ შეცვალა.

რით არის განმანადგურებელი ეს პოლიტიკა!

ახალ საქართველოს თავიდანვე ორი გამგეობა დასჩემდა: პროფესიული კავშირები და საკანონმდებლო დაწესებულება, ადმინისტრაცია და პარტიული კომიტეტ-კოლ-ლექტივები, რეგულიარი ჯარი და სახალხო გვარდია—თანასწორ უფლებიანი ორგანოები არიან და უფლება-უპირატესობისათვის ერთმანეთს ეცილებიან.

აქ არ არის მთლიანი, ერთსისტემიანი სახელმწიფოებრივი შენობა, ყველაფერი გაორებულია.

და მოქალაქემ აღარ იცის, ვის მიჰმართოს, ვის რა შესჩივლოს, ვის რა მოჰკითხოს.

ამ მხრით გაცილებით უკეთ არის მოწყობილი ლენინის კომუნისტური სახელმწიფო.

აქ მართვაგამგეობის ერთიან სისტემაა, ერთი ცენტრია, რომელსაც ემორჩილებიან ქვეცენტრები.

ერთი ადმინისტრაციაა—კომისრები, საბჭოების მიერ უფლება მოსილნი, ერთი ჯარი, ერთი სასამართლო (ტრიბუნალი).

და მშრომელთა მასსა ამ საბჭოებს ემორჩილება.

მართალია, საბჭოთა სისტემას ერთი გამოუსწორებელი ნაკლი აქვს: პიროვნების თავისუფლებასა სპობს და ამ სისტემების შეუძლებლობის მიზეზი სწორედ აქ მარხია.

ჩვენში კი ჯერ ქაოსია, ანარქია.

ჩვენი მმართველი პარტია ჯერ კიდევ ქანაობს, ირყევა, არ იცის, რომელი სისტემა აირჩიოს.

სწორედ აქ არის ეკონომიური კრიზისის სათავე.

ერთი მხრით მუშათა, პროფესიული კავშირები განაგებენ წარმოებას, მეორე მხრით, კაპიტალისტები პასუხისმგებელნი არიან, როდესაც საქმე ცუდათ მიდის, როგორც მუშების, აგრეთვე კრედიტორების წინაშე.

ეს შეუსაბამობაა: ვისაც უფლება აქვს, მოვალეობა და პასუხის მგებლობა მას უნდა ჰქონდეს, და, თუ მუშების ხელში უნდა დარჩეს გამგეობა მათს ხელშივე უნდა გადავიდეს მთელი პასუხისმგებლობაც.

ერთი სიტყვით, თუ მუშა იქნება გამგებელი, ისვე უნდა იყოს პატრონიც.

დიაღ: არ შეიძლება, რომ გამგებელი ერთი იყოს პატრონი კი სხვა. ეს ანარქიაა!

მაშ საითკენ მივექანებით!

უეჭველია, კომუნიზმისკენ, ვინაიდან დღევანდელი მერყევი ანარქიული მდგომარეობა—შეუძლებელია, თავის გულშივე შეიცავს თავის უარყოფას.

მართლაც! როგორ შეიძლება შეურიგებლის შერიგება?!

მუშა სწყვეტს, როგორ უნდა იმუშაოს და რამდენი ხელფასი უნდა მიიღოს კაპიტალისტი კი სწყვეტს, როგორ და სად გაყიდოს—საქონელი.

მუშისა და კაპიტალისტის ინტერესები ერთი მეორის წინააღმდეგია.

და, რა კი კაპიტალისტს თვით წარმოების პროცესში არა ეკითხება—რა, იძულებულია ან მეტის მეტად გაძვიროს ნაწარმოები, ან სულ ხელი აიღოს წარმოებაზე, წარმოების ლიკვიდაცია მოახდინოს.

მაგრამ საქონლის ძვირად გაყიდვასაც საზღვარი აქვს. შინ დამზადებული საქონელი ცილობას ვერ უწევს უცხოეთიდან შემოტანილს. და კაპიტალისტი სცდილობს თავისი კაპიტალი სავაჭრო კაპიტალად აქციოს. და ამ ნიადაგზე იშობება სპეკულიაცია.

ყველა ვაჭრად გარდაიქცა და ყველამ მიატოვა წარმოება.

რესპუბლიკა აღარაფერს ამზადებს. ყველაფერი, რაც კი გვჭირდება, უცხოეთიდან შემოდის, შემოტანილის ღირებულება მრავალჯერ აღემატება გატანილის ღირებულებას. და ფულის კურსი საშინლად დაეცა.

მაშ რა ეშველება საქმეს საჭიროა, გარკვეული ეკონომიური სისტემის გამთელება. საჭიროა, უფლებაც მის ხელში იყოს, ვისაც მოვალეობა აწევს.

თუ მთელი უფლება მუშათა კავშირების ხელში იქნება, მოვალეობაც მათ უნდა ჰქონდესთ დაკისრებული.

და, თუ კაპიტალისტი მოვალეობისაგან თავისუფალი არ იქნება, უფლებაც უნდა ჰქონდეს.

ეს—უდავოა.

მაშ ორში ერთია შესაძლებელი: ან კომუნიზმი, ან თავისუფალი შრომა.

რომელი უკეთესია?

ზოგიერთი ჰფიქრობს ამ ორი შეურიგებელი პრინციპის შერიგებას, მაგრამ ეს—უტოპიაა.

მართალია, ჩვენც გაგვეხარდება, თუ ოდესმე შრომაც თავისუფალი იქნება და სრული ეკონომიური თანასწორობაც დამყარდება: არც ჩვენ გვაწყენს ამგვარ სამოთხეში შესვლა.

მაგრამ ყველა ისტორიულ ხანას თავისი საქმე აქვს გასაკეთებელი, ყველაფერი დროსა და გარემოებაზე ჰკიდია.

და, როდესაც საქართველოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია დამოკლეს ხანჯალივით თავზე გვკიდია, ცხადია, ის ეკონომიური სისტემა უნდა ვარჩიოთ, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობას სიკვდილს გადაარჩენს.

მაშასადამე, ჩვენი გზა რუსული ბოლშევიზმისაკენ კი არ უნდა იყოს, არამედ ევროპის თავისუფლებისკენ.

პირველი გზა დაჰღუპავს საქართველოს, მეორე გზა კი აღორძინებს ეკონომიურად და განამტკიცებს პოლიტიკურად.

ამიტომ ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკას აი რა პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად: მუშათა პროფესიონალურ კავშირებს იმაზე მეტი უფლება არ უნდა ჰქონდესთ, რა უფლებაც აქვსთ ევროპის მუშათა პროფესიულ კავშირებს.

ჩვენ პატივსა ვსცემთ პროფესსიონალურ კავშირების უფლებას, მაგრამ აღვიარებთ იმავე დროს, რომ ამ უფლებას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მსხვერპლად არ უნდა შეეწიროს.

დიაღ, როდესაც ორში ერთი უნდა ავირჩიოთ; ან პროფესიული კავშირების შეუზღუდველი უფლება და ან საქართველოს დამოუკიდებლობა, რასაკვირველია, საქართველოს დამოუკიდებლობას უყოყმანოდ ავარჩევთ!

ვასილ წერეთელი.

სა ისე ჩვენი ქვეყნის ვაჭარ მრეწველთა წრეში,—რაიმე ზომები მიიღოს. დამფუძნებელი კრების ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის უნდა დავუვალოთ, რომ ამ ოფიციალურ დაწესებულების საშუალებით ქვეყანას აცნობოს ის გამანადგურებელი შედეგები, რომელიც სოხუმის ოლქში მოჰყვა მონოპოლიასა და ვაჭრობა მრეწველობის თავისუფლების შეზღუდვას. თამბაქო წრეულს ჩვენში აღარავის დაუთესია, თხილი კი რომლის თავისუფლად გატანა შარშან არ შეგვეძლო არ ითესება, თორემ წრეულს არც იმისი მოსავალი იქნებოდა. ფრაქციამ უნდა გვიშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რომ მთავრობამ თავისი ძველი ეკონომიური პოლიტიკა ხალხის ინტერესების მიხედვით გადასინჯოს და შესცვალოს.

არჩილი კოლმაია.—მე გავიგე, რომ ფინანსთა მინისტრმა საგანგებო განცხადებით ამცნო რესპუბლიკის მოქალაქეებსა და უცხოეთს, რომ საქართველოში საქონლის გატანა და შემოტანა ამიერიდან თავისუფალი იქნება. ჩვენ არ ვიცით კონკრეტიულად ეს განცხადება როგორია, ან როგორ ესმის ჩვენს ფინანსთა მინისტრს ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლება, მაგრამ გაზეთებიდან მე ისიც გავიგე რომ ევროპა სესხს არ გვაძლევსა და რომ უცხოეთის ვაჭრები ჩვენში საქონლის შემოტანას მაინც ვერ ბედავენ. შეიძლება ჩვენს ხალხს ორიოდე გროში რომ აქვს ფულად, ისიც კედელზე გასაკრავ ქაღალდადაც აღარ გამოგვადგეს, იმდენად გაცვდა და დაძველდა ჩვენი ბონი.

ასეთია ის შავბნელი მომავალი, რომლის წინაშეც სდგას რესპუბლიკა და ამას დროიდანვე უნდა ეშველოს, მაგრამ მე დიდს იმედებას ვერ დავამყარებ ბ. ჯ. შამუგის მიერ ნაჩვენებ ზომებზე. ეროვნული-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კრების ფრაქცია როგორც წინად, დღესაც შეებრძოლება.

მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას, მაგრამ ამით, ასეთი სიტყვიერი ბრძოლით ხალხს მაინც არაფერი ეშველება. ვერც იმ აზრს გავიზიარებ თითქოს ჩვენს პარტიას რადგანაც ნდობა აქვს, ამიტომ შეეძლოს ჩვენი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა. ორატორის სიტყვიდან მე ისე გავიგე თითქოს ჩვენმა პარტიამ უნდა გასწიოს შუამავლობა მომხმარებლებსა და ვაჭარ-მრეწველთა შორის, ესაა სახელმწიფოს საქმე და ცალკე პარტიას რომ კიდეც ჰქონდეს ამისი უფლება მაინც არავინ დაუჯერებს, მაგრამ, სანამ ის ისეთს სუსტს ოპოზიციას აწარმოებს, როგორც ვაწარმოებთ ჩვენ. მე შემომაქვს წინადადება ორატორთა სია დაიხუროს და კონფერენცია დაკმაყოფილდეს იმ საერთო განცხადებით, რომ ქვეყანა ნივთიერ კრიზისს განიცდის და რომ ასეთი მდგომარეობიდან განთავისუფლება დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების განვითარებაზე და აქტიურ მოქმედებაზე.

კოწო კობალაია; მეც იმ აზრისა ვარ, რაც უკანასკნელმა ორატორმა გამოსთქვა. მიკვირს რატომ არ უნდათ ზოგიერთ ჩვენთაგანს გაიგოს ის რომ მონოპოლიის რეკვიზიცისა თუ კონფისკაციის შეცვლა სოციალისტური პარტიის რწმენისა და შეხედულების ძირიანად შეცვლაა, რომ ამ პოლიტიკას მართველი წრე მანამ ვერ უარჰყოფს სანამ არ უარყოფს თვით სოციალიზმს. ეს ერთობ ძნელი საქმეა მათთვის და ვერც მე ვიქონიებ რაიმე იმედს ზევიდან ცვლილების მოხდენის შესახებ. საჭიროა თვითონ ხალხმა გაიგოს თუ სადაა სათავე და მიზეზი ქვეყნის ნივთიერად გაჩანაგებისა და ამის შემდეგ მიიღოს შესაფერისი ზომები.

შემდეგ ილაპარაკა პ. ქანტურიამ, ტ. უბილავამ, ალ. ქეცბაიამ, კრებამ მიიღო შემარიგებელი რეზოლიუცია ამ საკითხის შესახებ და გადავიდა მეორე საკითხზე.

პილა ქანტურია. ყველას კარგად მოეხსენება თუ რა ღვაწლი გაუწია სოციალისტური აზრების გავრცელებას საქართველოში კოოპერატივებმა. კოოპერატივები შეიქნენ ჩვენში მენშევიკური აზრებისა და ორგანიზაციების საფუძვლად მე არ ვიტყვი, სამურზაყანოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიას ასეთი ანგარიშებით მიადგეს კოოპერატივებს, მაგრამ ხალხთან რომ გარდა ცარიელი სიტყვებისა, საქმითაც უნდა რაიმე კავშირი ვიქონიოთ ეს ცხადია. დღევანდელი ერობები, სახურსათო კომიტეტები თუ კოოპერატივები უმთავრესად პარტიულ წევრებს აკმაყოფილებენ, მე ვიცი ბევრი შემთხვევები, რომ ჩვენ როგორც ეროვნულ-დემოკრატს ამ დაწესებულებიდან არაფერი მიგვიღია. ჩვენ ორგანიზაციების წევრებს აქვთ საშუალება რომ საკუთარი კოოპერატივი იქონიოს გალოში ამ მიზნით ვსთხოვთ მთავარ კომიტეტს გამოგვიგზავნოს ინსტრუქტორი და გვასწავლოს წესი და ფორმა კოოპერატივის საქმის წარმოებისა.

ზოგადი მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქნა მომხსენებლის წინადადება და თბილისიდან გამოგზავნილ პარტიულ რწმუნებულს მთავარ კამიტეტთან დაევალა შუამდგომლობა.

პარტიებთან დამოკიდებულების შესახებ ლაპარაკობს ესტატე ქუანია.

ორატორი კონფერენციას მიუთითებს იმ ახალ გარემოებაზე რომელიც პარტიულ ძალთა განწყობილების მხრით ბოლშევიკების ლეგალიზაციის შემდეგ შეიქმნა. დღეიდანონ—ბრძანა ქვანიამ—ჩვენ გვექნება საქმე ორი აშკარად ერთიმეორის წინაამდეგ დარაზმულ ძალებთან: ერთის მხრით იქნებიან მენშევიკები მთელი თავიანთი სახელმწიფო თუ პარტიული ორგანიზაციებით შეიარაღებულნი, მეორე მხრით კი, ბოლშევიკები: ვინც რწმენით და მოქმედებით სოციალისტია, ის ბოლშევიკებთან დარჩება, ვინც სოციალისტი არ არის ის ან ჩვენთან უნდა მოვიდეს, ან მენშევიკებთან. ამ ორ ფრონტზე ჩვენი მდგომარეობა იმით არის გართულებული, რომ ხალხს მენშევიკები აღარ სწამს, როგორც კერძო საკუთრების უარმყოფელნი. ასეთი შეხედულების არიან განსაკუთრებით ის სოციალ-მოკრატები, რომელნიც დღემდე შერჩნენ მენშევიკურ კოლექტივებსა და იაჩეიკებს. ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციის იერიშებიც აქეთკენ უნდა იქნას მიმართული. პარტიული ინტერესი მოითხოვს, რომ ჩვენი იდეიური ბრძოლა ამ ორ ფრონტზე დაუნდობელი და შეურიგებელი იქნეს.

რამდენიმე ორატორის გამოსვლის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო ახალი ფორმა ორგანიზაციებისა: ორგანიზაციის უკანასკნელი საფეხური იქნება თემის კომიტეტი. რაც შეეხება სოფლებსა და კუთხეებს კრებამ დაადგინა, რომ თემის კომიტეტებმა იყოლიოს თავის სოფლებში და ტერიტორიულად მჭიდროდ შეკავშირებულ ერთეულებში პარტიული რწმუნებულები,—ათის თავები, რომელნიც თემის კომიტეტებთან იქნებიან პირდაპირი პასუხისმგებელნი თავიანთ სათითაოში პარტიული მდგომარეობისა.

კრებამ ერთხმად დაამტკიცა ჯოგოლი შაიუშიას წინადადება სამურზაყანოში გაზეთ „საქართველოს“ აგენტურისა და პასუხისმგებელი კორესპონდენტების მოწყობის შესახებ. დილის ჯუპურხინჯის, მარლების ახიგვარისა და საბერიის კომიტეტებმა იშუამდგომლეს გაზ. „საქართველოს“-ს რედაქციასთან, რომ კანტორამ ხსენებულ კომიტეტების გაზეთი უგზავნოს უფასოდ მანამ სანამ, სამურზაყანოს ორგანიზაციები ფინანსიურად მოღონიერდებოდენ. პასუხისმგებელ კორესპონდენტებად აირჩიეს მაღიდან პილო ქანტურია, ბარღებიდან ნინავა, ოქთმიდან რაჟდენ კაკუბავა, ჯუპურხინჯიდან იოსებ ქვანია და საბერიოდან ლუკა კუხალაშვილი

სამურზაყანოს ორგანიზაციების ფინანსიურმა მდგომარეობამ ხანგრძლივი მსჯელობა გამოიწვია. კონფერენციას ეუწყა, რომ პარტიის ცენტრალურ ორგანოს,—მთავარ კომიტეტს,—რომელიც დღემდე თავის ხარჯით უძღვებოდა პროვინციის ორგანიზაციებს,—ამიერიდან ასეთი ხარჯის გაწევა არ შეუძლია და პროვინციამ თვითონ უნდა იზრუნოს თავის ნივთიერ მდგომარეობაზე. კრებამ დაადგინა 5 მანეთი საწევრო გადასახადი თვიურად და არჩეულ იქნა საწევრო გადასახადი. დასასრულ დელეგატებმა მსჯელობა იქონიეს მომავალ საერობო არჩევნების შესახებ, გაითვალისწინეს ყველა ის სამუშაო გეგმა, რომელიც უნდა განხორციელებული იქნას საარჩევნო კომპანიის დროსა და აგრეთვე დასახელებული იქნა ზოგიერთი კანდიდატები. ზოგიერთ დელეგატების წინადადებით, საერობო არჩევნების წინა-დღით გალში შესდგება კრება იმ კანდიდატებისა, რომელნიც სამაზრო კომიტეტმა პარტიული ხაზით უნდა დაასახელოს; მათთან ერთად შესდგება სამაზრო კომიტეტის წევრთა საგანგებო კრება.

მეორე დღის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა მოხსენება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეიური და ორგანიზაციული ცხოვრების შესახებ.

კონფერენციის მდივანი

ალ. ქეტბაია.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხპ. კედია.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თვ.

# მდგომარეობა ანგარიშებისა

საქართველოს ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა

(დეპეშ. მისამ. ცენტრობანკი)

**გამგეობა ქ. თბილისში.**

**განყოფილებანი ქ. ბათომში და ბორჯომში.**

1-ლ სექტემბრისათვის 1920 წ.

| აქტივი | | გამგეობაში. | | განყოფილებებში. | | ს უ ლ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კასა | | 12.770.196 | 86 | 8.093.789 | 67 | 20.863.986 | 53 |
| 2. მიმდინარე ანგარიშები: | | | | | | | |
| ა) ხაზინაში და სახელმწიფო ბანკში | 14.424.094—24 | | | | | | |
| ბ) კერძო ბანკებში | 5.795.123—10 | 20.219.217 | 34 | 1.216.459 | 89 | 21.435.677 | 23 |
| 3. განაღდებული ვექსილები არა ნაკლებ ორი ხელ. მომწ.: | | | | | | | |
| ა) სხვა და სხვა პირისა | 28.514.000— | | | | | | |
| ბ) ამხ. „მწყემსი“-სა | 40.492.100— | 69.006.100 | — | 18.960.000 | — | 87.966.100 | — |
| 4. ვადიანი სესხი გირავნობის ქვეშ: | | | | | | | |
| ა) პროცენტები ქაღალდ. გარანტ. | | — | — | — | — | — | — |
| ბ) საქონლისა | | 41.554.930 | — | 37.726.634 | — | 79.281.564 | — |
| 5. საგანგებო მიმდ. ანგარიშები: | | | | | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილი პროც. ქაღალდებით | | — | — | — | — | — | — |
| ბ) საქონლით | | 1.510.056 | 73 | — | — | 1.510.056 | 73 |
| 6. სარგებლიანი ქაღალდები ბანკის საკუთრება, გარანტიანი. | | 52.140 | — | — | — | 52.140 | — |
| 7. ბანკნოტები და უცხო ქვეყნის ვალიუტა | | 3.722.425 | — | — | — | 3.722.425 | — |
| 8. კორესპონდენტი: | | | | | | | |
| ა. კონტო ლორო | 4.027.912 29 | | | | | | |
| ბ. კონტო ნოსტრო | 1.519.905—29 | 5.547.817 | 58 | — | — | 5.547.817 | 58 |
| 9. განყოფილებანი და სააგენტონი: ა) | 3.824.310—45 | | | | | | |
| ბ. თანხები გაუტარებელი განყოფ. მიერ | — — | 3.824.310 | 45 | — | — | 3.824.310 | 45 |
| 10 მოწყობილობა და ავეჯეულობა | | 1.034.965 | — | 598.586 | — | 1.633.551 | — |
| 11. გარდამავალი თანხები | | 4.917.903 | 85 | 203.644 | — | 5.121.547 | 85 |
| 12. ბანკის პერსონალთა კოოპერატივი „თანამშრომელი“ | | 1.512.933 | 25 | — | — | 1.512.933 | 25 |
| 13. საორგანიზაციო ხარჯი | | 1.646.070 | 85 | — | — | 1.646.070 | 85 |
| 14. დასაბრუნებელი ხარჯი | | 127.247 | 25 | 3.840 | — | 131.085 | 25 |
| 15. ხარჯი უძრავ ქონებაზე | | 10.200 | — | — | — | 10.200 | — |
| 16. მიმდინარე ხარჯი | | 4.086.342 | 50 | 1.248.238 | 26 | 5.334.580 | 76 |
| 17. პროცენტებ. დარიცხულნი მიმდინ. ანგარიშებზე | | 118.172 | — | 1.903 | — | 120.075 | — |
| 18. საკომისიოთ მიღებული ვექსილები და საბუთები | | 17.227.605 | — | 4.391.413 | — | 21.619.018 | — |
| 19. უძრავი ქონება | | 20.380.009 | — | — | — | 20.380.009 | — |
| 20. ქეციათა ანგარიში | | 2.232.500 | — | — | — | 2.232.500 | — |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | 211.501.142 | 66 | 72.444.507 | 82 | 283.945.650 | 48 |

| პასივი | | გამგეობაში. | | განყოფილებებში. | | ს უ ლ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ძირითადი კაპიტალი | | 30.000.000 | — | — | — | 30.000.000 | — |
| 2. საორგანიზაციო ხარჯის ფონდი | | 1.531.950 | — | — | — | 1.531.950 | — |
| 3. მიმდინარე ამგარიშები | | 132.063.710 | 27 | 41.338.709 | 18 | 173.402.419 | 45 |
| 4. მობარებული-თანხები (დებოლი), ვადიანი | | 10.000.000 | — | — | — | 10.000.000 | — |
| 5. კორესპონდეტები: | | | | | | | |
| ა) კონტო ლორო | — — | | | | | | |
| ბ) კონტო ნოსტრო | 1.584.771—58 | 1.584.771 | — | — | — | 1.584.771 | — |
| 6. პროცენტებ. გადასახადი მიმდინარე ანგარიშებზე | | 106.792 | 55 | — | — | 109.695 | 58 |
| 7. მიღებული პროცენტებ. და კომისია | | 11.266.198 | 78 | 6.142.553 | — | 17.408.752 | 78 |
| 8. შემოსავალი უძრავი ქონებიდან | | 26.660 | 85 | 76.200 | 19 | 102.860 | 04 |
| 9. მიღებული პროცენტებ. მომავალი 1921 წ. | | 8.292 | — | — | — | 8.292 | — |
| 10. 5 პროც. სახელმწიფო გადასახადი | | 518 | — | — | — | 518 | — |
| 11. ღერბის გადასახადი | | 8.712 | 76 | — | — | 8.712 | 76 |
| 12. გარდამავალი თანხები | | 6.986.751 | — | 4.908.958 | — | 11.895.709 | — |
| 13. გაუმართლებელი გარდასაგზ. ფულის ბარათები | | 688.180 | — | 651.505 | — | 1.339.685 | — |
| 14. ბანკის კომიტენტები. | | 17.227.605 | 42 | 4.391.413 | — | 21.619.018 | 42 |
| 15. გამგეობის ანგარიში განყოფილებებში ა) | 3.824.310—45 | — | — | 14.933.266 | 45 | — | — |
| 16. „ „ გაუტარებელი თანხები ბ) | 11.108.956— | — | — | | | 14.933.266 | 45 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | 211.501142 | 66 | 72.444.507 | 82 | 283.945 650 | 48 |

თავმჯდომარე გამგეობისა პ. ა. გოთუა

წევრები გამგეობისა: ქ. ნ. აფხაზი, ნ. ყ. თავდგირიძე

მთავარი ბუჰგალტერი ხ. თ. კალანდარიშვილი

სხვაგან სად! თუ არ სასადილო
„ტაშიროში“?!
(ყოფილი „ეკონომია“) შტაბის ქუჩა
პუშკინის ბაღის პირდაპირ
ვისაუზმოთ დილ. 0-12 ს.
ვისადილოთ „ 2--6 ს.
ვივახშმოთ „ 6--2 ს.
ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

შემთხვევით იყიდება
კაკლის ხის გარდერობი, კომოდი და ლომბერის სტოლი.
ელისაბედის ქ., № 89, ბინა 5. 3—1.

საჭიროა
მოსამსახურე ქალი.
მ ოიკითხეთ „საქართველოს“ კანტორაში. 4—7—

განცხადება
ვერის აბანო რომელიც რემონტის გამოისობით დაკეტილი იყო, 12 ენკენისთვიდან ისევ გაიხსნა, შეცვლილია მხოლოდ შესავალი, ესე იგი, ალაყაფის კარიდან არის აბანოს შესავალი კარი. ნომრების ფასი საათში 100-დან 200 მანეთამ.
აბრამაშვილი.
3134 1—1

ამ წლის ენკენისთვის 12-დან კვლავ გამოდის
ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი
„სასოფლო გაზეთი“
გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...
„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.
რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.
გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო ცალი 10 მან.
კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპექ. № 25, გაზ. „საქართველოს“-ს ბინაზე.
24 7-1